სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 17 ოქტომბერი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ #11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, გიორგი ტურაზაშვილი, როინ მიგრიაული, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ნანა ფარჩუკაშვილის, ანნა სიმონიშვილის, საბა ელიზბარაშვილის, ანა ალავიძის, სოფიო ბურნაძის, მურად შუბითიძის, ანო გორგასლიძის, ანა ჩხეიძის, მარიამ ჭურჭელაურის, დალი კვარაცხელიას, ზურა ზერეკიძის, ანნა ბერუაშვილის, გიორგი სამაკაშვილის, შოთა ბესტავაშვილის, ქეთი სალაძის, მიხეილ ჯულაყიძის, ქეთევან ჩხაიძის, მარიამ სხულუხიას, ნიკოლოზ კიზირიას, ფიქრია ჩხაიძის, ანი ქურდაძის, მარიამ საურის, ეკა ბუჩუკურის, ანა გალდავას, ილია გუმაშვლის, ნინო ტარიელაშვილის, არტურ განიევის, ნინო თაბუკაშვილის, გიორგი მანასაშვილის, თამარ ბერუაშვილის, ხატია რევაზიშვილის და ანა თოხაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნანა ფარჩუკაშვილის, ანნა სიმონიშვილის, საბა ელიზბარაშვილის, ანა ალავიძის, სოფიო ბურნაძის, მურად შუბითიძის, ანო გორგასლიძის, ანა ჩხეიძის, მარიამ ჭურჭელაურის, დალი კვარაცხელიას, ზურა ზერეკიძის, ანნა ბერუაშვილის, გიორგი სამაკაშვილის, შოთა ბესტავაშვილის, ქეთი სალაძის, მიხეილ ჯულაყიძის, ქეთევან ჩხაიძის, მარიამ სხულუხიას, ნიკოლოზ კიზირიას, ფიქრია ჩხაიძის, ანი ქურდაძის, მარიამ საურის, ეკა ბუჩუკურის, ანა გალდავას, ილია გუმაშვლის, ნინო ტარიელაშვილის, არტურ განიევის, ნინო თაბუკაშვილის, გიორგი მანასაშვილის, თამარ ბერუაშვილის, ხატია რევაზიშვილის და ანა თოხაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ნუგზარ ჯინჭარაძის, ნინი სორჩეს, ფიქრია ასკილაშვილის, ნათია ხვედელიძის, ლევან მელქაძის, კობა კობიაშვილის, ბაკურ ჩიქოვანის, ზურაბ ხეცურიანის, ნატალია ბრგევაძის, ინეზა წოწონავას, სამსონ ჯოჯუას, ნანა ციკოლიას, კახაბერ გოგოლაძის, ციალა გაზდელიანის, ანნა მდინარაძის, ცირა მდინარაძის, ლევან აფრასიძის და ნინო მიხელიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნუგზარ ჯინჭარაძის, ნინი სორჩეს, ფიქრია ასკილაშვილის, ნათია ხვედელიძის, ლევან მელქაძის, კობა კობიაშვილის, ბაკურ ჩიქოვანის, ზურაბ ხეცურიანის, ნატალია ბრგევაძის, ინეზა წოწონავას, სამსონ ჯოჯუას, ნანა ციკოლიას, კახაბერ გოგოლაძის, ციალა გაზდელიანის, ანნა მდინარაძის, ცირა მდინარაძის, ლევან აფრასიძის და ნინო მიხელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო ტარიელაშვილის, თამარ ნამგალაურის, ანა მაზმიშვილის, ნინო კუჭუხიძის და ლევან დოღონაძის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ტარიელაშვილის, თამარ ნამგალაურის, ანა მაზმიშვილის, ნინო კუჭუხიძის და ლევან დოღონაძის გაცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. განცხადებების განხილვა აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული საწევრო დავალიანების გადანაწილების შესახებ - ალექსანდრე ახალაძე, მაგული ლიპარტელიანი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობათ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 31.03.2022 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

თავმჯდომარის წინადადებით, აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ერთხმად მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ზემოაღნიშნული განცხადებების განხილვა გადაიდოს, მომდევნო სხდომისთვის.

საკითხი 5. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის განახლებული მოდულების განხილვა და დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს წარუდგინა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის განახლებული მოდულების შესახებ ინფორმაცია.

წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ მოდულებს. მსჯელობის შემდეგ, **ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის განახლებული მოდულები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.**

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივნის შუამდგომლობითა და აღმასრულებელი საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, წინამდებარე საკითხის განხილვა გადაიდო შემდგომ უახლოეს სხდომაზე.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ირაკლი ბურჭულაძის, ლევან ზაქრაძის, მარიამ მაძღარაშვილის, ხვიჩა თავაძის, თამუნა კახიძის, ბესიკ ქარცივაძის, გიორგი ძიგუას და კახაბერ ცხვირავაშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ირაკლი ბურჭულაძის, ლევან ზაქრაძის, მარიამ მაძღარაშვილის, ხვიჩა თავაძის, თამუნა კახიძის, ბესიკ ქარცივაძის, გიორგი ძიგუას და კახაბერ ცხვირავაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-8 ნაკადის მონაწილეთა სიის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2022 წლის 31 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე მიმდინარეობდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაცია. ჯამში დარეგისტრირდა 229 მონაწილე, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-5 მუხლის, 5.8 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და მათ მიენიჭოთ პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი 1).

საკითხი 9. განცხადებების განხილვა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის თაობაზე - თამარ სიორდია, ანა ბიძიაშვილი.

წევრები გაეცნენ:

(ა) თამარ სიორდიას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა პირადი მიზეზებიდან გამომდინარე, სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ სიორდიას განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) ანა ბიძიაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა პირადი მიზეზებიდან გამომდინარე, სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ბიძიაშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. ადვოკატ ნინო ყეინაშვილის განცხადების განხილვა სტაჟიორთან დაკავშირებით.

წევრები გაეცნენ ნინო ყეინაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი, როგორც სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი ასოციაციას აცნობებდა ინფორმაციას მისი სტაჟიორის - თამარ სიორდიას მიერ სტაჟირების 9 თვიანი პერიოდიდან, 4 თვის გავლის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭომ მოისმინა ინფორმაცია და **ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული ნინო ყეინაშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.**

საკითხი 11. სოფო თაფლიაშვილის განცხადების განხილვა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადანაწილების შესახებ.

წევრები გაეცნენ სოფო თაფლიაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა თეორიული კურსის საფასურის მაქსიმალურ ვადაზე გადანაწილებას.

მათ განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის თანახმად, თეორიული საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, რადგან განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში ვერ ახერხებს კურსის საფასურის სრულად გადახდას, მიზანშეწონილია, მას ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამის დასრულებამდე მიეცეს თეორიული კურსის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფო თაფლიაშვილის განცხადება და მას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადახდა გადაუნაწილდეს აღნიშნული პროგრამის სრული ერთწლიანი ვადის ფარგლებში. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 12. განცხადებების განხილვა განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე - ბეჟან ჩიქოვანი, ომარ ჩანტლაძე.

წევრები გაეცნენ:

(ა) ბეჟან ჩიქოვანის განცხადებას, რომელშიც განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ დისტანციურ რეჟიმში ტრენინგების გავლისთვის, მას არ ჰქონდა ტექნიკური საშუალება და შესაბამისად, მოკლებული იყო შესაძლებლობას განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში დაეგროვებინა სავალდებულო კრედიტ-საათები. აქედან გამომდინარე, იგი ითხოვდა წლიური სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

(ბ) ომარ ჩანტლაძის განცხადებას, რომელშიც განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ დისტანციურ რეჟიმში ტრენინგების გავლისთვის, მას არ ჰქონდა ტექნიკური საშუალება და შესაბამისად, მოკლებული იყო შესაძლებლობას განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში დაეგროვებინა სავალდებულო კრედიტ-საათები. აქედან გამომდინარე, იგი ითხოვდა წლიური სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განთლების ფარგლებში მიმდინარე წლისთვის დადგენილი 10 სავალდებულო კრედიტ-საათის დაგროვების ვადა არის 2022 წლის 31 დეკემბერი. ამდენად, საბჭო თვლის, რომ აღნიშნული განცხადებების განხილვა სასურველია მოხდეს მიმდინარე წლის ბოლოსთვის ჩანიშნულ შესაბამის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ბეჟან ჩოქოვანის და ომარ ჩანტლაძის განცხადებების განხილვა გადაიდოს. განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 13. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადებების განხილვა (ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი; ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი).

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ფასიანი აკრედიტაციის შესახებ შემოსული 2 განმცხადებლის თაობაზე.

წევრები გაეცნენ:

(ა) ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ - საგანმანათლებლო ღონისძიების თემა: იურიდიული ეთიკა.

(ბ) ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი - საგანმანათლებლო ღონისძიების თემა: GIAC საარბიტრაჟო დღეები 2022.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ორივე განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს: ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის და ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადებები ფასიანი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 14. 2022 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ თამარ ყოჩაშვილის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ თამარ ყოჩაშვილის მიმართ მიღებულ 2022 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებას (საქმის #3/6618-21), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 23, 26, 27, 28 და 29 ივლისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის სხდომის 2021 წლის 06 სექტემბრის #2 ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 77 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც თამარ ყოჩაშვილს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 77 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება თამარ ყოჩაშვილის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილის (საქმის #3/6618-21) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თამარ ყოჩაშვილს N77 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, თამარ ყოჩაშვილის მიერ 2021 წლის 29 ივლისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილის N 3/6156-21 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, თამარ

ყოჩაშვილს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 15. ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების შესახებ განცხადებების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა თავმჯდომარეების მიერ რეკომენდირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჯგუფში გაწევრიანების მსურველი პირის - ელენე ჩორგოლაშვილის და ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის - მარიამ გელაშვილის კანდიდატურები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჯგუფში ელენე ჩორგოლაშვილის, ხოლო ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად - მარიამ გელაშვილის კანდიდატურა.

საკითხი 16. ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2022 წლის 7 ოქტომბერს გამოცხადებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში შემოსული განაცხადების განხილვა და საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატთა წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა ასარჩევ კონკურსში საქართველოს პარლამენტისთვის კვალიფიციურ კანდიდატთა წარდგენის მიზნით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2022 წლის 7 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა ხუთი განცხადება.

წევრები გაეცნენ კანდიდატების: მანუჩარ კაკოჩაშვილის (სიითი#1069/1), გიორგი გზობავას (სიითი # 4708), გიორგი ტურაზაშვილის (სიითი #0505), როინ მიგრიაულის (სიითი #0460) და სოფიო სოხაძის (სიითი #0620) განცხადებებს თანდართული დოკუმენტაციით. წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, 2022 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით პარლამენტს წარუდგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის არაუმეტეს 3 კანდიდატურისა.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური განხილვის და მსჯელობის შემდეგ, კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი,

ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე; მონაწილეობა არ მიუღიათ როინ მიგრიაულს და გიორგი ტურაზაშვილს), ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი **გადაწყვეტილება**:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ასარჩევად საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნას ასოციაციის წევრების: როინ მიგრიაულის (პ/ნ 01001002335), სოფიო სოხაძის (პ/ნ 01017013618) და გიორგი ტურაზაშვილის (პ/ნ 01026005538) კანდიდატურები.

საკითხი 17. ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2022 წლის ასოციაციის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საჭიროების შესახებ. მან განმარტა, რომ:

(ა) მიმდინარე პერიოდისთვის ამოწურულია ადვოკატის სოციალური დაცვის ფონდის ბიუჯეტი; ამავდროულად, კონკრეტული წევრების განცხადებები განხილვის რეჟიმშია და მომართვიანობის დინამიკაც აქტიურია. აქედან გამომდინარე, წევრებისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენის მიზნით, რეკომენდირებულია ფონდის ბიუჯეტის გაზრდა 8 000 (რვა ათასი) ლარით.

(ბ) ამოწურულია საწვავის ხარჯის ბიუჯეტი, რომელიც ასოციაციის საქმიანობის სხვადასხვა მიზნებიდან გამომდიანრე გამოიყენება ასოციაციის აპარატის მიერ, საჭიროებებიდან გამომდინარე და ასევე, საწვავზე გაზრდილი ფასების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საწვავის ხარჯის გაზრდა 2 000 (ორი ათასი) ლარით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან დამატებითი მოაზრებები არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: 2022 წლის ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შევიდეს ცვლილებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით:

1. **გაიზარდოს ადვოკატის სოციალური დაცვის ფონდის ბიუჯეტი 8 000 (რვა ათასი) ლარით;**
2. **გაიზარდოს საწავავის ხარჯის ბიუჯეტი 2000 (ორი ათასი) ლარით.**

საკითხი 18. ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე, თანმხვედრი საჭიროებებიდან გამომდინარე მასში შესატანი ცვლილებების შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. დაისვა შეკითხვები, რომლებზეც გაცემული იქნა ამომწურავი პასუხები. წევრებმა განაცხადეს, რომ 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტის განხილვა და დამტკიცდება განახლდება მოგვიანებით, აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

საკითხი 19. სხვადასხვა:

წევრები გაეცნენ:

(ა) რუსუდან შველიძის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ინფორმაცია აღმასრულებელი საჭოს მიერ საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროს შესახებ და იგი იხდიდა წლიურ საწევროს 200 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული შეღავათის არსებობის თაობაზე და მან მიმართა ასოციაციას ზედმეტად გადახდილი საწევრო გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50% იანი შეღავათის გათვალისწინებით, რუსუდან შველიძის მიერ 2023 წლის ჩათვლით გადახდილი და შემდგომი წლებისთვის ზედმეტობაში არსებული საწევროს რაოდენობა შეადგენდა 500 ლარს.

წევრებმა მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით შედეგად ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს რუსუდან შველიძის განცხადება და მას წარმოდგენილ ანგარიშის ნომერზე დაუბრუნდეს მის მიერ ზედმეტად გადახდილი საწევრო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(ბ) დალი ხელაიას განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს მიერ საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროს შესახებ და იგი იხდიდა წლიურ საწევროს 200 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული შეღავათის

არსებობის თაობაზე და მან მიმართა ასოციაციას ზედმეტად გადახდილი საწევრო გადასახადის გადანაწილების მოთხოვნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50% იანი შეღავათის გათვალისწინებით, დალი ხელაიას მიერ ზედმეტად გადახდილი საწევროს გადანაწილება შესაძლებელია 2024 წლის ჩათვლით.

წევრებმა მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით შედეგად ერთხმად შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დალი ხელაიას განცხადება და მის მიერ გადახდილი ზედმეტობაში არსებული საწევროს თანხა გადანაწილდეს 2024 წლის ჩათვლით. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(გ) ნიკოლოზ ხაინდარავას განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს მიერ საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროს შესახებ და იგი იხდიდა წლიურ საწევროს 200 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული შეღავათის არსებობის თაობაზე და მან მიმართა ასოციაციას ზედმეტად გადახდილი საწევრო გადასახადის გადანაწილების მოთხოვნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი შეღავათის გათვალისწინებით, ნიკოლოზ ხაინდრავას მიერ ზედმეტად გადახდილი საწევროს გადანაწილება შესაძლებელია 2024 წლის ჩათვლით.

წევრებმა მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით შედეგად ერთხმად შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ ხაინდრავას განცხადება და მის მიერ გადახდილი ზედმეტობაში არსებული საწევროს თანხა გადანაწილდეს 2024 წლის ჩათვლით. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(დ) ზურაბ ელიაშვილის და მადონა ძინძიბაძის განცხადებებს. მათ განაცხადეს, რომ განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდეს განმცხადებლების მონაწილეობით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ზურაბ ელიაშვილის და მადონა ძინძიბაძის განცხადებების განხილვა განახლდეს მათი მონაწილეობით, მომდევნო სხდომაზე. განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ჩანიშვნის თაობაზე.

(ე) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - ნუგზარ კანდელაკის (სიითი #2257) და მანანა ჩხეტიანის (სიითი# 1040) გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლები). მათ განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21[3] მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული - ნუგზარ კანდელაკის (სიითი #2257) და მანანა ჩხეტიანის (სიითი #1040) გარდაცვალების ფაქტი და ამოღებულ იქნან ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

აღმასრულებელი საბჭოს შემდგომი სხდომა ჩაინიშნა მ/წლის 31 ოქტომბერს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე